1874

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# ლიტერატურული საქართველო

კვირა, 15 მარტი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 11 (222). ფასი 30 კაპ.


## ფრონტისა და ზურგის გმირი ქალები

განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა ჩვენმა დიდმა სამშობლომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა წელს ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე. 25 წლის შრომითა და ბრძოლით საბჭოთა ქალმა დაამტკიცა, რომ იგი ქალთა საერთაშორისო გამანთავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე და დასაყრდენ ძალას წარმოადგენს.

საბჭოთა ქალის მოწინავეობა, მისი ავანგარდული როლი განსაკუთრებით თვალსაჩინო და ცხადი გახდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გაჩაღებული ომის მრისხანე ვითარებაში. საბჭოთა ქალს აღმოაჩნდა დიდი ფიზიკური და მორალური შესაძლებლობა წინ აღდგომოდა და სასტიკი ბრძოლა გაეჩაღებინა მეოცე საუკუნის ბნელეთის — ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ. საბჭოთა ქალს ღრმადა აქვს შეგნებული, რომ არასოდეს ქალს ისეთი დაუნდობელი და მძვინვარე მტერი არ მოვლენია, როგორიც მოევლინა მას გერმანული ფაშიზმის სახით. საბჭოთა ქალმა კარგად იცის, თუ როგორ გასთელეს და დაამცირეს ქალის ღირსება ფაშისტებმა თვით გერმანიაში. მან იცის, რომ დღეს ქალი გერმანიაში უენო არსებად, პირუტყვად არის ქცეული, მას იქ წაართვეს სიყვარულის და დედის უფლებაც კი, გაუხსნეს საგრილობელი პუნქტები და ვალდებული გახადეს ხმის ამოუღებლად შეასრულოს ფაშისტური ტირანიის საზიზღარი კანონი—სქესობრივი კავშირი იქონიოს ავაზაკ ფაშისტ მოიერიშეებთან, რომ შვას არა შვილები, არამედ ჯარისკაცები, ბრმა იარაღი და საზარბაზნე ხორცი ჰიტლერის ბარბაროსული მიზნების განსახორციელებლად. სასტიკი და დაუნდობელი საკუთარი ქვეყნის ქალების მიმართ, ფაშიზმი ასკეცად საშინელი და ულმობელია არა გერმანელი ქალის მიმართ. ყველგან, სადაც კი ფაშისტმა კანიბალებმა ფეხი შესდგეს, დაგუბდა ქალთაგან დაღვრილი ცრემლისა და სისხლის ზღვა, ყველგან ქალი ფაშიზმის მძიმე ულელმა მიწასთან გაასწორა. ის, რაც პირველ მარტს მოსკოვში გამართულ ლატვიელი ხალხის წარმომადგენელთა მიტინგზე განაცხადა ლატვიელმა სანიტარმა ქალმა ლუტერმა, თამამად შეუძლიან გაიმეოროს ყველა იმ კუთხის და ყველა იმ ქვეყნის ქალმა, სადაც კი ფაშიზმი თარეშობს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, — სთქვა ლუტერმა,—ლატვიელი ქალი პირველად გაიმართა წელში. მის წინ გადაიშალა გზა თავისუფალი შრომისაკენ, ცოდნისაკენ, ხელოვნებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებამ დაამყარა თანასწორობა ქალისა მამაკაცთან, მისცა მას ყველა უფლება ლამაზ, ბედნიერ, თავისუფალ ცხოვრებაზე, მაგრამ როგორც კი გერმანელი ფაშისტები ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე შემოიჭრნენ, მაშინვე ქალი მიწაზე გაართხეს. დროებით ოკუპირებულ რაიონებში. ფაშისტებმა გადააქციეს ქალი დაბალ არსებად. პირუტყვად, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს აღვირახსნილ ჰიტლერელ ყაჩაღთა აჯხორცობა. ფაშისტები ქალს დასცინიან, ძალადობას ხმარობენ მასზე, სჩაგრავენ, აწამებენ. ფაშისტი არამზადები მივიდნენ იქამდეც კი, რომ გახსნეს ლატვიაში ქალთა მოსაწველი პუნქტები. იქ უნდა გამოცხადდნენ თოთო ბავშვების დედები დ გაიღონ რძე გერმანელი ბავშვებისათვის. ეს ხელს უწყობს ისედაც შემაძრწუნებელ დიდ სიკვდილიანობას ლატვიელი ბავშვებისას. ათი ახლად დაბადებულ ბავშვიდან ცოცხალი რჩება მხოლოდ 7-8 ბავშვი. ჰიტლერის ბანდებმა ლატვიაში შეიტანეს და გაავრცელეს ათასგვარი ავადმყოფობა, მათ შორის ვენერიული სნეულებანიც.

ამაზე უფრო ჯოჯოხეთური ამბები დაატრიალეს ფაშისტმა მხეცებმა საბჭოთა უკრაინასა, ბელორუსიაში და რუსეთის დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე. ვინ მოსთვლის, რამდენ მშრომელ ქალს ახადეს ნამუსი, დასჭრეს ძუძუები, რამდენი ქალი დასწვეს და სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს, რამდენს თვალწინ დაუხვრიტეს და ხიშტზე აუგეს ჩვილი და თოთო ბავშვები.

სავსებით ბუნებრივია, თუ საბჭოთა ქალი მთელი თავისი მრისხანებით და სისასტიკით აღსდგა ასეთი ვერაგი, უნამუსო და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ. საბჭოთა ქალი ამჯობინებს სიკვდილს, ვიდრე დასთმოს ის, რაც მას საბჭოთა ხელისუფლებამ, დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ მიანიჭა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა პატრიოტი ქალები თავიანთ შვილებთან, ქმრებთან და ძმებთან ერთად ანადგურებენ საზიზღარ მტერს, ვაჟკაცურად იბრძვიან პარტიზანულ რაზმებში, არტილერიისა და ნაღმსატყორცნ ცეცხლში გმირული თავდადებით უნარჩუნებენ სიცოცხლეს დაჭრილ მებრძოლებს, გულადობას, მამაცობასა და გმირობას იჩენენ საჰაერო თავდაცვის საქმეში. მარად გმირობისა, ვაჟკაცობისა და მამაცობის შთამგონებელ სახელებად დარჩებიან საბჭოთა კავშირის გმირი ქალები ზოია კოსმოდემიანსკაია და ლიზა ჩაიკინა, რომლებსაც წილადა ხვდათ მოწამებრივი თავდადება სამშობლოსათვის. სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს აგრეთვე ანფისა სავუშკინას, ვერა პროხოროვას, კლავდია ბელოვას, ლიდია კოლკოვას, რომელთა გმირულმა მოქმედებამ მტრის ზურგში უდიდესი დახმარება გაუწია ჩვენს წითელ არმიას და გაუადვილა მას მტრის შემუსვრა.

არანაკლებ გასაოცარია და სასიქადულო საბჭოთა ქალის შრომითი სიმამაცე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. იმ უამრავ ტანკსა, თვითმფრინავსა, ქვემეხსა, ტყვიამფრქვევსა, ნაღმსატყორცნსა, ავტომატსა და საომარ მასალაში, რომელიც უხვად იგზავნება ფრონტზე ჩვენი მამაცი არმიისათვის, სანახევროდ ჩვენი ქალის შრომაა ჩადებული.

საბჭოთა საქართველოს საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ქალების თავდადებულ ლაშქარში არიან ქართველი ქალებიც. დიდძალი ქართველი ქალი მუშაობს ამჟამად მედიცინის დად როგორც უშუალოდ ფრონტზე-საველე ჰოსპიტლებში, ისე ზურგის ლაზარეთებში. მრავალი მათგანი ხათრის ქვეშ აყენებს თავის არსებობას, რომ სიკვდილს ხელიდან გამოსტაცოს დაჭრილი მებრძოლი, ნამდვილი და-ძმური სიყვარულით და მზრუნველობით ევლებიან თავს ისინი დაჭრილ მეომრებს, რომ შეუმსუბუქონ ტკივილების სიმწვავე და მხნეობით აღავსონ მათი გული. ჭეშმარიტ პატრიოტობას გვიჩვენებენ ქართველი საბჭოთა ქალები შრომის ფრონტზე. ეს ქართველი ქალები მუშაობენ საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებად, მემაღაროეებად, ტრაქტორისტებად, ხარატებად, ზეინკლებად და მრავალი სხვა პროფესიის ოსტატებად. დღეს მთელმა საბჭოთა საქართველომ იცის ისეთი მოწინავე ქალების სახელები, როგორიც არიან ჩაის კრეფის სტახანოველი ქიონია სარსანია, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონ-სარემონტო ქარხნის ხარატი ეკატერინე ხუბულური, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე ბ. ქურდაძე, თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მქსოველი პარასკევა გადილია და მრავალი სხვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდეს სრულიად ახალი ტიპის ქართველი ქალი, აღჭურვილი ნამდვილი კომუნისტური მორალით, შეიარაღებული ლენინ-სტალინის დიადი იდეალებით, ეს სიმტკიცეს აძლევს ქართველ საბჭოთა ქალს სხვა მოძმე ეროვნების თავის დებთან ერთად მედგრად და შეუპოვრად იბრძოლოს ფრონტსა და ზურგში სამშობლოს თავისუფლებისა და კაცობრიობის გადარჩენისათვის მიხაკისფერ საშინელებისაგან.

## ქართველი ხალხის დელეგაცია ფრონტის წინა ხაზზე

ქართველი ხალხის დელეგაციამ, რომელმაც საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავზე და წითელი არმიის XXIV წლისთავზე ყირიმის ფრონტის მებრძოლებს საჩუქრები ჩაუტანა, საქართველოში გამომგზავრების წინ ფრონტის წინა ხაზზე — ბლინდაჟებში დიდი მიტინგი გამართა. მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ყირიმის ფრონტზე მებრძოლი ქართველი მეომრები, მეთაურები და პოლიტ-მუშაკები, გახსნა ამხ. ომარ მუსერიძემ. მებრძოლებს სიტყვით მიმართეს აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ამხ. ირაკლი აბაშიძემ, ვლ. ძაბახიძემ. ორატორებმა თავიანთ სიტყვაში გამოსთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ორდენოსანი საქართველოს მამაცი შვილები დაუნდობლად შემუსრავენ რა გამხეცებული ფაშიზმის ურდოებს, კვლავ ასახელებენ თავიანთ საყვარელ სამშობლოს.

მხურვალე გრძნობით წარმოთქმულ თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. მუსერიძემ ქართველი ქალის გმირობის საილუსტრაციოთ მოიყვანა ალ. შანშიაშვილის ლექსი, რომელიც მებრძოლებმა დიდი ინტერესით და აღტაცებით მოისმინეს.

ყირიმის ფრონტზე მოქმედი ქართველი მეომრების სახელით გამოსულმა ამხანაგებმა სთხოვეს დელეგაციას გადასცენ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ქართველ მეომართა გადაწყვეტილება · იბრძოლონ თავგანწირულად, იბრძოლონ ბოლომდე, გარეწარი მტრის სრულ განადგურებამდე.

## და-ძმა

ლეო ქიაჩელი

მეორე ღამე იყო, რაც მზვერავი წითელარმიელი მიტია მოსკალიოვი მტრის ზურგიდან გზას მოიკვლევდა თავის ნაწილისაკენ.—მას ორ მებრძოლთან ერთად დიდად მნიშვნელოვანი საომარი ამოცანის შესრულება ჰქონდა დავალებული: ფაშისტების ერთერთი უჩინარი, მაგრამ უწყვეტად მოქმედი ცეცხლის წერტის აღმოჩენა და მისი აფეთქება. სამივე მებრძოლი ამ რაიონის მკვიდრნი იყვნენ, რომელიც ახლა მტერს ეჭირა და ადგილს ზედმიწევნით იცნობდნენ. ნაცადნიც იყვნენ ასეთ საქმეში. პირველ ღამესვე მათ ბრწყინვალედ შეასრულეს დაკისრებული დავალება, მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალიც მოუვიდათ: ერთი მათგანი მტრის ცეცხლის ბუდის აფეთქებამ იმსხვერპლა.

ორს გადარჩენილს მდევრები გამოუდგნენ ფიცხლად და კვალდაკვალ. მალე წინიდანაც შემოუარეს და გზა მოუჭრეს, წითელი არმიის პოზიციებისკენ დასახევი. მაგრამ მეგობრებმა სწორედ ეს გარემოება გამოიყენეს თავის დასახსნელად: მათ უცბად შეიცვალეს გეზი და პირი ისევ მტრის ბანაკისკენ იბრუნეს, რასაც მდევრები არ მოელოდნენ. ამ მხრით ადვილად გაარღვიეს ამხანაგებმა რკალი და ღამის სიბნელეში ისე უგზოუკვლოდ გაითქვიფნენ, თითქოს მიწამ პირი უყო. ხოლო აქ ისე მოხდა, რომ ღამეში მებრძოლებმაც ერთმანეთი დაკარგეს და გაითიშნენ.

წინასწარ ჰქონდათ ამხანაგებს გათვალისწინებული, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ასეთ შემთხვევაში. რაკი ამ ადგილის მკვიდრნი იყვნენ, თითოეული მათგანი უნდა ცდილიყო დაუყოვნებლივ თავის სოფლისაკენ გაეკვლია გზა, თავისიანების დახმარებით ადგილობრივი პარტიზანული რაზმი მოენახა და მისი შემწეობით ისევ ნაწილს დაბრუნებოდა — დავალების ზუსტი ამბავი და დაზვერვის შედეგები მიეტანა.

ასე ვარაუდობდნენ: თუ ორივე არა, ერთი მათგანი მაინც უთუოდ ცოცხალი დარჩებოდა და მიზანს ეწეოდა.

* * *

მიტიამ პირველ ღამესვე გათენებამდე კარგა დიდი მანძილი განვლო უჩინრად ფაშისტების ზურგის სიღრმეში. ნაცნობ პატარა ტბასთან შემოათენდა. აქედან შორს არ იყო მისი სოფელი. ტბას ველი აკრავდა, ველის ბოლოს ტყე იყო, მერმე—სოფელი, სულ ხუთიოდე კილომეტრით ტყეს დაშორებული.

რაკი შემოათენდა, გზის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მიტიაც ტბის მიდამოში საიმედო საფრის მონახვას შეუდგა.

ამ ადგილებში ყრუდ ისმოდა მსუბუქი იარაღის სროლის ხმა. სჩანდა, ბრძოლის ცეცხლის ხაზი საკმაოდ შორს იყო. ხოლო ქვემეხების გუგუნი აქ განსაკუთრებულად შემზარავი ეჩვენებოდა მიტიას. მის მიერ ატეხილი ქარი ისეთი საშინელი ღრიალით გადაევლებოდა თავს ისედაც მოთარეშებულ არა-მარეს, ისეთი ტეხვითა და გრგვინვით მიაწყდებოდა ცისა და მიწის კიდურებს, თითქოს მთელი ქვეყნიერების საბოლოო დამხობას ლამობსო.

მიტია იმას კი არ სწუხდა, რომ ქვემეხების გუგუნი ქარის ღრიალთან შეერთებული მას სულს უფორიაქებდა. სწუხდა მშობელი კუთხისთვის, რომ იგი დღე და ღამე თვიდან თვე იტანდა ნგრევის ამ უწყვეტსა და შესაზარ ხმას.

სწუხდა, მაგრამ იმასაც ამჩნევდა მიტია, თუ რა ამაყი, მედიდური ქედმოუხრელობით ხვდებოდნენ მისი საყვარელი ველები მტრის იარაღების მიერ მათ ზურგზე გამართულ თარეშსა და რბევას.

თითქოს თვალითაც კი ცხადად ხედავდა მიტია, თუ როგორ უკვალოდ ინთქებოდნენ ველების სივრცეთა უსასრულო სიღრმეში გუგუნიც და ქარიც, თუ როგორ იშლებოდნენ და იფანტებოდნენ უსაზღვროებაში მათი მოტანილი ძალა და შხამი, და მისი დევგმირი სამშობლო ქვეყნის მარად შეურყეველი სიმშვიდე კი როგორც ყოველთვის, ახლაც შეუვალი რჩებოდა.

მიტია გრძნობდა, რომ მასაც შეუვალად უცემდა გული. გრძნობდა, რომ ის შვილი იყო ამ ქვეყნის და ამ ველების, სივრცეების სუნთქვით აღზრდილი — მათი სისხლი და ხორცი. მთელი მისი არსება გამარჯვების მტკიცე რწმენას მოეცვა და არად მიაჩნდა ყოველი ხიფათი თუ განსაცდელი, რასაც მტრის ბანაკში მას გათენებული დღე უმზადებდა.

მისი საფარი ტყის ნაპირი ახლად გადახდილი ბრძოლის კვალით იყო დადაღული. დარბეული, გავერანებული იყო მთელი მიდამო. ყუმბარებს დაეხეთქათ და გადაებუგათ ტბის ოდესღაც სწორი, მწვანით მოსილი ნაპირები. ღარებში ჩამდგარ ხავსიან წყალს ადამიანის სისხლი შერეოდა შედედებული. შემაძრწუნებელი იყო მისი ფერის ღივლივი დღის სინათლეზე. ტბის ზვირთცემას ნაპირებთან შიშველი გვამები მოერეკა, რუმბებივით გაბერილი და წყლის ზედაპირზე მოტივტივე. ხელჩართული ბრძოლა თუ იყო გამართული შიგნით ტბაში. ვინც იარაღს გადაურჩებოდა, იმას, ალბად, წყალი ახრჩობდა. შემზარავ სიმსივნეს სახიერება წაეშალა გვამებისათვის და ყველა ერთმანეთისათვის დაემსგავსებინა. თითქოს ყველა ერთად სუნთქავსო, ისე ერთად და ერთნაირად ირწეოდნენ წყლის ყოველ გაქანებაზე ქვევიდან ზევით, ზევიდან ქვევით, და ჰაერს სიმყრალით სწამლავდნენ.

საფარში შემალულ სულშეხუთულ მიტიას თვალი ვერ მოეწყვიტა მის გარშემო გადაშლილ აოხრების საშინელი სურათებისათვის. ათვალიერებდა ნაცნობ გარემოს და აგონდებოდა, სად რა იყო ვერაგ მტრის შემოსევამდე: ხე, ბუჩქი, ბაღი, ეზო, კარი, სახლი თუ სხვა ნაგებობა. არაფერი იყო დარჩენილი ყოველივე იმისაგან, რაც მიტიას აქ უნახავს, რაც მის მეხსიერებას ძვირფას მოსაგონრად შემოუნახავს. ცრემლით თვალები ევსებოდა მებრძოლს, ბრაზით—გული.

— არამზადებო! არამზადებო! წამდაუწუმ იმეორებდა იგი და მკერდში მუშტს იცემდა შურისძიებით ატანილი.—გაზღვევინებთ! არ შეგარჩენთ ხალხის სისხლსა და სამშობლოს დარბევას.

რბევის სანახაობამ ფიქრი საყვარელ სოფელზე გადაუტანა მიტიას. ომის დაწყების დღიდან იგი ფრონტს არ მოსცილებია და თავის სოფელში ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა. შინ მოხუცი დედა დასტოვა და უმცროსი და, ნატაშა, რომელიც ათწლედს ამთავრებდა სწორედ იმ თვეს, როცა მტერმა შემოტევა დაიწყო. იგი გამუდმებით სწერდა ფრონტზე მყოფ ძმას წერილს, სანამ ამ რაიონში ფაშისტები ფეხს შემოსდგამდნენ. მასუკან მთელი თვეა, რაც წერილი მისაგან არ მოსვლია მიტიას.

არა ერთგზის ნადარდი და ნაფიქრი კვლავ დარდად და ფიქრად შემოაწვა ახლა მიტიას: რა ბედი ეწიათ დედას, დას, სახლს, კარს და მის სამშობლო სოფელს, სადაც ჯერ კიდევ მტერი იყო გაბატონებული.

— ნუთუ ასეა გავერანებული და დარბეული იქაურობაც?—ეჭვი უკლავდა გულს მიტიას, ხოლო დედაზე, დაზე ფარულადაც ვერ გაებედნა ეფიქრნა, რომ, შეიძლება ისინი, ცოცხლები ვერც კი ენახა მალულად და გავლით შინ დაბრუნებულს.

* * *

შუა ღამე ჯერ კიდევ არ იქნებოდა, როცა მიტიამ ტყის პირს მიაღწია მშვიდობით. მიაღწია, მაგრამ შიგ შესვლა კი ვერ გაბედა. ჯერ კიდევ მეჩხერი არ გაევლო, რომ გულმა უგრძნო: მის კვალს უჩინრად ვიღაცა მოჰყვებოდა მოუწყვეტლად. ნუთუ მტრის ხაფანგში გაება მიტია? ზედმეტი იყო იმაზე ფიქრი, რომ იგი მტერს ცოცხალი დანებდებოდა. ორი ხელის ყუმბარა მას კიდევ დარჩენოდა. ორივე მუდამ მზად ეჭირა ხელში მოულოდნელი ხიფათის მოლოდინში. მაგრამ როგორ მოხდა, რომ ამდენი გზა გალია, აქამდე მოაღწია და განსაცდელი სწორედ აქ წამოეწია გზის დასასრულს. მოლზე გაწვა, მიწას გაერთხა მთელი ტანით. ყურთა სმენა გაიმახვილა. დიდხანს დარჩა ამ მდგომარეობაში. არა, უთუოდ მოეჩვენა, გრძნობამ მოატყუა: არსაიდან ისმოდა ოდნავადაც საეჭვო ჩქამიც კი. ისევ წამოდგა. სწრაფად გაიარა მეჩხერი და ხშირი ტყის მრუმე უბეს თავი მისცა.

აქ კი წინანდელზე უფრო ცხადად მოეჩვენა, რომ ლანდმა ახლა უკვე წინიდან გზა გადაუჭრა და მის პირდაპირ მახლობელ ხეს მოეფარა. მიტია შესდგა. ისევ სრული სიწყნარე დამკვიდრდა ტყეში.—ცის ირიბად შემოჭრილ სინათლეზე ხეს თუ მოწყდა ლანდი? მაგრამ მიტიას ეჭვებისათვის უკვე დრო აღარ დარჩა, მის ირგვლივ მდგარი ხეები თვალის დახამხამებაში თითქოს გაცოცხლდნენ, ერთბაშად ამოძრავდნენ და მას ალყად გარს შემოერტყნენ. უმალეს ყოველი მოაზრებისა მყისვე შაშხანის ხმასავით გაისმა:

— შესდექ, ხელები ზევით!

ნუთუ მიტიას გონება შეერყა შიშისაგან, რომ ხმა ნაცნობი მოეჩვენა. იქნება, სძინავს და სიზმარში ესმის ნატაშას ხმა.

— სწრაფად მეთქი, თორემ...

დაიჭექა იმავე ხმამ, ახლა უკვე მიტიასათვის სრულიად ეჭვმიუტანელმა.

— ნატაშა, ნუთუ შენი ხმა მესმის?—უეცარი გახარებისაგან შეკრული ხმით შესძახა დას მიტიამ და საფრიდან გამოვიდა.

წამიერი დუმილი ჩამოწვა ტყეში. მერმე სიხარულის ნაპერწკლებად მიმოიფანტნენ გარშემო ნატაშას სიტყვები:

— პარტიზანლებო, მტერი არ გეგონოთ. ჩემი ძმაა—მიტია, წითელარმიელი.

პასუხად ათეული ნაცნობი ხმა აღტაცებით მიეგება მიტიას. გარს შემოეხვივნენ მეზობლები, ნათესავები. გამოჰკითხეს, სად იყო და აქ როგორ მოხვდა.

მიტიას კიდევ დედის ამბის გაგება ეჩქარებოდა, სანამ თავის თავგადასავალს ამხანაგებს უამბობდა.

— ნურაფერს მკითხავ, ძმაო, დედაზე!—იყო ნატაშას პასუხი,—ნურაფერს მკითხავ შენს საყვარელ სახლკარზე! ხომ ხედავ შურისძიებამ შენს პატარა დაიკოსაც იარაღი აასხმევინა, ვაჟკაცებს გვერდში ამოუყენა. შურისძიების წმინდა გრძნობამ, დაღუპულ დედისათვის და გადაბუგულ სახლკარისათვის! შურისძიების წმინდა გრძნობამ, ძმაო მიტია, უდანაშაულოდ დარბეულ და დალეწილ სამშობლოსათვის.

## ქართველ ქალს

გიორგი ლეონიძე

დედაო, დაო, სატრფოვ ძვირფასო,
შენი წარსული მწარე წყლულია,
ყოველი ტანჯვა საქართველოსი
შენი ცრემლებით გამოწყულია.

მშვენიერება ტურფა შენბრი
სამშობლოს ედემს არა ჰყოლია,
თავისუფლების ვეფხვთა დედაო,
წინ შენი სახე მათ წასძღოლია.

გულმდუღარებით დამღერდი აკვანს
და ხან ცხრა კუბოს დაჰქვითინებდი,
მაგრამ შენს ამაყ, არწივულ სახეს
მოანათებდა დახსნის იმედი.

შენ ახალწლისთვის ბავშვებს უცხობდი
პურის ხმლებს, შუბებს და შვილდისარსა,
რათა ყოველ წელს დაჰკვებებოდა
გმირობა შენით ნასვინდისარსა.

და რომ დაგეწრთო შენის რძის ძალით
მხოლოდ მხედრებად, არა მონებად, —
ომში წამავალთ ხმლის ტარზე ლეჩაქს
უხვევდი ვალის მოსაგონებლად.

და დღესაც ცოცხლობს ანდერძი წმინდა,
დედის ძუძუთი გადაცემული,
არ უნახიათ შენი შვილები
გამოქცეული ან დაცემული.

მათი სახელი იქა სწერია,
სადაც გამოჩნდა ყველა რჩეული,
ბელადის დროშით ალაშქრებული,
გმირად ნათქვამი და მიჩნეული.

თუ ბრძოლის ველზე თავზე გადასდით
სიკვდილის ცეცხლი გადაყვილით,
შეურყეველი გულით დგებიან,
ვისაც უნათებს შენი ღიმილი.

არვის მისცემენ შენს წმინდა მანდილს,
მტვრიანი ფეხით რომ გადასთელოს;
არ გასწირავენ შენს იავნანას,
კერას, სამშობლოს და საქართველოს.

და არც იქნება ვინმე, ოდესმე
შენ ძუძუს მადლში შემოგედაოს,
რუსთველის დედავ, სტალინის დედავ,
თავისუფლების ვეფხვთა დედაო!

## შენ კვლავ ცოცხალი ხარ?

ირაკლი აბაშიძე

ფრიცს ომი ქურდული უყვარდა ეთერში
და მერე კვეხნა და ფიცი...
დღეს ორი ყუმბარა გაერჭო მესერშმიდტს,
შიგ ზღვაში ჩავარდა ფრიცი.

ფრიცს ორი მომქმედი ხელი აქვს რეზერვში,
ვერაგმა მხარულიც იცის,
გაჰკრა და გაშორდა ანთებულ მესსერშმიდტს,
გველურად მისცურავს ფრიცი.

გააღწევს, გააღწევს, ნათელი დღე არი,
ნაპირიც სჩანს კიდეც თალხად,
გააღწევს... მაგრამ წინ მრისხანე ღრიალით
შემოხვდა შავიზღვის ტალღა:

— „ეს შენ ხარ? ო კაინ, ო კაინ, შავპირო“ —
შედგა და ეკვეთა ალყად;
—„ქვესკნელში, ქვესკნელში“—დაჰკრა და დასძირა
და ლაღად გასცურდა ტალღა.

—„ქვესკნელში, ქვესკნელში; შენ ჩემთან მოხვედი
მე შენთვის სამარე ვიცი“ —
ფრიცს ორი ნიჩაბი ხელი აქვს მომქმედი,
კვლავ ზემოდ ამოძვრა ფრიცი.

გაწვა და გასცურდა მარდი და ქვეშ-ქვეში,
მაგრამ კვლავ აგორდა ტალღა:
—„შენ კვლავ ცოცხალი ხარ? ქვესკნელში, ქვესკნელში“ —
დაჰკრა და გუგუნით გაღდვა.

და მერე ორმაგად მივარდა გრიალით
ორმაგი რისხვით და ქაფით:
—„შენ კვლავ ცოცხალი ხარ? ნაპირზე დღე არი
მაგრამ შენ ვერ ნახავ ნაპირს“.

სხეულზე მიეჭდო, შეკრა და მიჰგრიხა
ზღვის ფსკერზე დაუშვა გვამად:
— ო, კაინ, ჩემი ზღვის ძირმაც არ მიგიღონ,
ქვესკნელის უბრალო ქვამაც“.

* * *

ფრიცს მუდამ აძლევდენ ჯავშნიან მესსერშმიდტს,
აქ კუბოც არ ერგო ფიცრის,
ფრიცს მარდი სრიალი უყვარდა ეთერში.
ზღვის ფსკერზე დაბრძანდა ფრიცი.

1942 წ. 2/III. ყირიმი.

# ქველი ოსტატი

### მაყვალა მრევლიშვილი

უმცროსი ვაჟიც გაგზავნა,
გზა დაულოცა მეომარს,
მობრუნდა ნაცნობ დაზგასთან
მოსდევს ჩვეული მშრომობა.

ომიანობის დრო არის,
შინ უქმად ვინ-ღა დარჩება,
მუშა გვჭირია მრავალი,
მტერი არ გვაცლის არჩევანს.

მზე ილვიძებდა და უხვად
რთავდა რთვილს, ფერად მძივნარევს,
ქუჩებს ადრიან დაუყვა,
ქალაქს გაჰხედა მძინარეს:

ისევე სიჭაბუკეა,
ახალ-წვერულვაშ-აშლილი,
ოსტატის ხელი უქიათ,
მიუხარია ბავშვივით, —

ისევე ყმაწვილკაცობა,
ალალმართალი საქმითა,
წვრილშვილს მიუტანს ნაშოვარს,
მადლიც გაჰყვება სახლიდან...

— ჩვენს ღვიძლ ხელობას ვწვევულვართ,
მხრებო, კვლავ გაიმართენით!
წლებით მოვერცხლილ წვერ-ულვაშს
თითქოს დაადგა ნათელი.

გადაუშალა ნათელმა
შუბლზე ღარების ნარჩენი,
გარს შეგირდები დაჰშვენდა
ოსტატს, დალოცვილს მარჯვენით.

რკინაზე აჭდევს ართახებს,
გავარვარებულს, ალიანს,
ხელი თუ ოდნავ ცახცახებს,
დღეს მღელვარების ბრალია.

კიდევ უმატე ხალისსა
ჩარხო, ნუღარა გვიანობ,
თქმულა: ბებერი ხარისა;
რქანიც კი ეწევიანო.

# „თამარიანის“ რუსული თარგმანი

დიდი ინტერესით შეხვდა თბილისის ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოებრიობა პროფ. შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად თარგმნილ ჩახრუხაძის „თამარიანს“.

მრავალმხრივ საყურადღებო იყო მოხსენება, რომელიც მთარგმნელმა „თამარიანის“ რუსულ თარგმანს წა- [illegible]

ილაპარაკა იმ სიძნელეებზე, რომლებიც ხვდება სტილისა და პოეტიკის თვალსაზრისით ისეთი რთული ნაწარმოების მთარგმნელს, როგორიც არის „თამარიანი“, ამ სიძნელეთაგან მთავარია შემადგენლობა და აღნაგობა „თამარიანის“ ყოველი ტაეპისა, რომელიც შეიცავს რა სხვადასხვაგვარ ეპითეტს, მეტწილად უზმნოდ არის წარმოდგენილი, რაც ზოგჯერ გაუგებარს ხდის და აბუნდოვანებს ფრაზის შინაარსსო. მთარგმნელის აზრით, „თამარიანის“ შინაარსს განსაზღვრავს მისი ფორმაც, ამიტომ საჭიროა სხვა ენაზე თარგმნის დროს დაცულ იქნას [illegible]

გამოსულმა მეცნიერებმა და მწერლებმა პროფ. ვუკოლ ბერიძემ, პროფ. კ. კაპანელმა, პროფ. მოსე თოიძემ, ბესო ჟღენტმა, კონსტ. გამსახურდიამ, ცნობილმა რუსმა ორდენოსანმა მწერალმა ივანე ნოვიკოვმა, იონა ვაკელმა და სხვ.

# ამაღლევებელი კინო-ეპოპეა

უკვე მეორე კვირაა, თბილისის კინო-თეატრებში იშვიათი წარმატებით მიდის დოკუმენტალური კინოფილმი „გერმანელი ჯარების განადგურება მოსკოვთან“, რომელიც დღემდე ინახულა დაახლოვებით 45 ათასმა მაყურებელმა. სავსებით ბუნებრივი და გასაგებია მოსახლეობის ეს ღრმა ინტერესი ამ შესანიშნავი კინონაწარმოებისადმი. მაყურებელი კვლავ ხდება მოწმე და მონაწილე იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, რომლის ყოველი ეპიზოდი და ყოველი დეტალი ასე აღელვებდა თვითოეულ საბჭოთა პატრიოტს, თვითოეულ ჩვენგანს. ზუსტად და სწორად გამოსთქვა ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრი და ამ ფილმით აღძრული განცდა ერთერთმა მაყურებელმა გაზეთ „იზვესტიაში“:

„ჩვენ ყველას გვახსოვს დეკემბრის ის დაუვიწყარი საღამო, როცა საბჭოთა რადიომ გვაუწყა ჩაფუშვა გერმანული სარდლობის გეგმისა, რომელიც მოსკოვის ხელში ჩაგდებას ითვალისწინებდა. რეპროდუქტორებთან მდგარნი ჩვენ გულის ფანცქალით ვიჭერდით დიქტორის ყოველ სიტყვას. დიქტორის კვალზე ჩვენ ვიმეორებდით გერმანულ დამპყრობელთა ხელიდან გამოგლეჯილი ქალაქების სახელებს. ვიმახსოვრებდით სახელებს გმირებისას, რომელთაც წილად ხვდათ დიადი პატივი, გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცათ მტრისათვის მოსკოვთან. ვიწერდით ციფრებს განადგურებულ და დავლად წამოღებული ტანკების, ქვემეხების, ტყვიამფრქვევების, ავტომანქანების უზარმაზარ ციფრებს. გვაოცებდა ბრძოლის გრანდიოზულობა და მტრისათვის მიყენებული უზარმაზარი დანაკლისი, უსაზღვროდ გვახარებდა და გვაფრთოვანებდა ცნობა მტრზე ჩვე- [illegible]

სიმტკიცე და შეურყევლობა, წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობა, ფრონტისა და ზურგის ურღვევი მთლიანობა. ამ კინო-დოკუმენტს განსაკუთრებულ შთამგონებელ ძალას აძლევს ის გარემოება, რომ იგი იწყება კადრებით, სადაც აღბეჭდილია დიდი ბელადის გამოსვლა 7 ნოემბერს წითელ მოედანზე და რწმენით აღსავსე მისი მიმართვა არმიისა და ხალხისადმი. შემდგომ კადრებში დიდ ბელადს ვერ ვხედავთ, მაგრამ ვგრძნობთ, რომ იგი ყველგან არის, რომ იგი წინ მიუძღვის ყოველ საბჭოთა მეომარს, წითელარმიელს ის თუ ჯარის სარდალი. სტალინის მოუდრეკელი სიმტკიცე, სულიერი სიმშვიდე, გამარჯვების რწმენით შობილი სიმშვიდე და სიმტკიცე გოლიათის ძალას აძლევს მტრის წინააღმდეგ დაძრულ საბჭოთა ლეგიონებს, თავდაცვის ზღუდეების მშენებლებს და ქარხნებში შეუსვენებლად მომუშავე ქალებსა და ვაჟებს, საბჭოთა ქვეყნის პატრიოტ შვილებს. მშობლიური სტალინი ჩვენთან არის, ჩვენ ვერაფერი შეგვაშინებს, ვერავითარი ძალა ვერ მოგვდრეკს. აი ეს რწმენა მთავარ მოტივად მიჰყვება პირველი კადრებიდან უკანასკნელ კადრებამდე ამ ბრწყინვალე კინო-დოკუმენტს.

ფილმის ერთერთი დიდი ღირსება ის არის, რომ იგი ამომწურავად წარმოგვიდგენს მოსკოვისათვის წარმოებული ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპებს. მაყურებელი მძაფრად განიცდის, თუ რა მძიმე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ოქტომბერსა და ნოემბერში მთელ დასავლეთ ფრონტზე, თუ რა წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვა მოუხდა ჩვენს წითელ არმიას, რომ მოედრიკა საარაკოდ შეიარაღებული მტრის წინააღმდეგობა და უკუექცია იგი მოსკოვიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე. მაყურებელი მხოლოდ ამ ფილმის მიხედვით გაიგებს, თუ რა მდიდარი და სრულყოფილი ტექნიკით არის აღჭურვილი ჩვენი მამაცი არმია. მაყურებელი აქ ხედავს სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა სისტემის ზარბაზნებს, მსუბუქ და მძიმე ტანკებს, ხედავს [illegible]

ბა-სოფლებში. მაყურებელი მთელი სიღრმით განიცდის იმ სიხარულს, რომლითაც ადგილობრივი მკვიდრნი ხვდებიან წითელარმიელებს. ეს კადრები მთელი სიდიადით გვაგრძნობინებს, თუ რად უწოდებს ჩვენი ხალხი თავის არმიას მშობლიურ არმიას, თუ რად მიაჩნია იგი თავის სისხლად და ხორცად. რამდენი დედობრივი სიყვარულია მოხუცი კოლმეურნე ქალის იმ ალერსსა და პირჯვრის გადაწერაში, რომლითაც იგი ეგებება და შემდეგ მიაცილებს ჭაბუკ მებრძოლებს.

მრისხანე ბატალურ ეპიზოდებს მოსდევს შემაძრწუნებელი სურათები, ფაშისტური ბარბაროსობის „უკვდავი“ ძეგლები—ქალაქ ვოლოკოლამსკის მოედანზე აღმართული სახრჩობელა ზედ ჩამოკიდებული 8 გმირი კომკავშირელით, შემდეგ,—ქ. კლინი, იასნაია პოლიანა—დანგრეული და აფეთქებული სახლებით, სკოლებით, პოლიკლინიკით, გერმანელ ფაშისტთა ვანდალობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტებით, ტოლსტოის და ჩაიკოვსკის განადგურებული და დარბეული სახლებით და კარმიდამოთი. მაგრამ ამ ფაქტებთან ერთად არის კადრებიც, რომელიც ამშვიდებს და კეთილშობილურ ადამიანურ გრძნობებს უღვიძებს მაყურებელს, ასეთია მაგალითად, პარტიზანი და პარტიზანი ქალების დაბრუნება თავიანთ მშობლიურ სოფელში, სადაც მათ მადლობის გრძნობით და სიხარულის ცრემლებით ეგებებიან მადლიერი კოლმეურნენი.

ამავე დროს ეს ფილმი არის გერმანელ ფაშისტთა არა მარტო ბარბაროსობის და ვანდალობის, არამედ გებელსის ცრუ პროპაგანდის ეჭვმიუტანელი მხილებაც, მხილება იმ პროპაგანდისა, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს გერმანელი მოსახლეობა, თითქოს გერმანელი ჯარების დამარცხება მოსკოვთან იყოს „გეგმაშეწონილი“ უკან დახევა. განა გეგმაშეწონილ დახევის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ათასობით მიტოვებული ზარბაზნები, ტანკები, ავტომანქანები, საწყობები, რომელთაც უხვად და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მრავალი კადრი ამ დაუვიწყარი კინო დოკუმენტისა.

ფილმი „გერმანელი ჯარების განადგურება მოსკოვთან“ მუდამ დარჩება ხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებად, რომელიც მომავალ თაობებს გადასცემს მართალ და ნამდვილ ამბებს სამამულო ომის გმირულ დღეებზე, საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობასა და უძლეველობაზე.

ვ. წ.

# კონსტ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“

### წიგნი პირველი

გამომცემლობა „ფედერაციამ“ დაბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი. ამ ნაწარმოებში ავტორს ასახული აქვს 1129-1125 წლების ისტორიული საქართველო. რეტროსპექტიურად გაშუქებულია დავითის მამის გიორგი მეორის და პაპის ბაგრატ მეოთხის ბრძოლები საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთმეფობის განმტკიცებისათვის.

ხალხების გადასახლების ეს პერიოდი წალეკავს უძლიერდა საქართველოს. სელჯუკიან-თურანებისაგან გადათქერილ საქართველოს დიდაზნაურთა შინათგამცემლობა უფრო მეტად აუძლურებდა. უნებისყოფო გიორგი მეორე თავს ვერ ართმევს გარეშე და შინაურ მტერს. ასეთ მძიმე დროს ტახტზე ადის დავით მეორე. იგი მტკიცე ხელით ალაგმავს ქართველ ფეოდალებს და კუთხურ მეფეებს: კვირიკე კახეთ-ჰერეთის მეფეს და აღსართან მეორეს, დათრგუნავს ძაგანს, ზედაზენის ციხის პატრონს, შეიპყრობს თრიალეთის ერისთავს—ამირა ლიპარიტ ორბელიანს. შემოიმტკიცებს თრიალეთსა და კახეთ-ჰერეთს. თავგამეტებული ბრძოლით განდევნის თურქებს ამერიდან, მოიწვევს ყიფჩაღებს, შეადგენს მუდმივ ჯარს. რეფორმები შემოაქვს ეკლესიაში, რომელსაც მექრთამე ეპისკოპოსები „ქვაბ-ავაზაკნი“ დაუფლებოდნენ.

1124 წელს დაამარცხებს მუსლიმთა დიდ კოალიციას, რომლის მეთაური იყო ამირ ედდინ ილ-ღაზი. თბილისს შეუერთებს სამეფოს, თურქებს განდევნის სომხეთიდან და შემოიმტკიცებს ანისს.

შემდეგ დიდი სტილის მშენებლობას შეუდგება, აშენებს ქალაქებს, ციხეებსა და ეკლესიებს. აწყობს ქსენონებს. ხანაგებს. რომანში მოცემულია ხალხთა დიდი გადასახლების აღრეული ხანა, ეპოქა დოგმატიზმისა და მისტიციზმისა. როცა რომის პაპის და ბიზანტიის პატრიარქების ზეგავლენა ზენიტზე იდგა, როცა იწყებოდა პირველი ჯვაროსნული ომი, როცა რელიგიების მიერ შექმნილი საშინელი ობსკურანტიზმის მიუხედავად, ნეოპლატონიური ფილოსოფიისა და არისტოტელეს მეოხებით პროგრესიულად განწყობილი მოაზროვნენი სადაოდ ხდიდნენ რელიგიის პოსტულატებს.

თავად მწიგნობარს, მორწმუნე მეფე დავითს რელიგიური სკეპტიციზმი შეიპყრობს და მას იჭვი აღეძვრის რელიგიის „ურყევ ჭეშმარიტებათა“ მიმართ. ეს რელიგიური განდრეკილობა დავით მეფისა ავტორს გამოყენებული აქვს, როგორც ტრაგედიული ღერძი თავისი ტრილოგიისა. პარალელურად მოცემულია ოჯახური ტრაგედია დავითისა, რომელიც თავად მეფეს გამხელილი აქვს თავის ქმნილებაში: „გალობანი სინანულისანი“.



ჩრდილოეთის მომქმედი ფლოტი უმცროსი მეთაურის ა. გორდიენკოს საზენიტო ქვემეხი წარმატებით იგერიებს პუნქტ №-კენ გამოჭრილ მტრის თვითმფრინავებს.

# ბულბული

### ლეონიდ სობოლევი

ოდესის მიდამოებში, ფრონტზე, მოქმედებდა მეზღვაურ-მზვერავთა რაზმი. ღამ-ღამობით ხან მუცელზე მიხოხავდნენ დანაღმულ სივრცეთა შორის, ხან მკერდით აპობდენ შემოდგომაზე ზღვის ყურეების წყალს, ხან კარჭაპით შორს გასცილდებოდენ საომარ ხაზს, და გუშაგს ხიშტს ან ხანჯალს ჩასცემდენ, შტაბის ქოხს ყუმბარებს დაუშენდენ, საკუთარ ბატარეების ცეცხლის ქვეშ მოიკალათებდენ, რომ სროლის სიზუსტე ენიშნებინათ, და გაბედავი და მარდი „შავი ეშმაკები“, „შავი კომისრები“, როგორც ეძახდნენ მეზღვაურებს ელდანაკრავი რუმინელები, მაინც უჩინარი რჩებოდნენ.

მათ შორის იყო კრეისერ „ჩერვონნა უკრაინას“ ბუმბერაზი—კომანდორი, რომელსაც ვერც ერთ საწყობში ვერ მოუნახეს შესაფერი მაღალყელიანი ჩექმა; მის ფეხზე გამოჭრილი ჩექმა მხოლოდ ოდესის ოლქის პარტიულმა მდივანმა გამოუგზავნა და შიგ, როგორც ჩანთაში ჩაუწყო მეორე რწყვილი, ერთი ბეწო ჩექმა—განკუთვნილი მეორე მზვერავისათვის, რომლის ფეხის ზომა აგრეთვე არ გაეთვალისწინებია საზღვაო ჩექმების ქარგებს; ეს მზვერავი იყო ცხრამეტი წლის ანია, ოდესის გარეუბნის კოლმეურნეობა ბელიაევკიდან გამოქცეული, რომელსაც ახლა ამხანაგები პირდაპირ მიჰყავდა მშობლიურ ადგილების ყოველ ქოხში.

აქ იყო მემანქანე ნაღმოსან „ულმობელიდან“, რომელიც რუმინელი ტყვიამფრქვევლების იარაღიანად ცოცხლად ხელში ჩაგდების საკუთარ ხერხს წარმატებით იყენებდა: ამისთვის მათ სჭირდებოდათ მხოლოდ მტრის ზურგს უკან წაეღოთ ჩვეულებრივი შუშხუნის ლამბაჩა (რომლითაც აძლევენ ნიშანს თვითმფრინავის აფრენაზე) და რუმინელისთვის ესროლებთ დრუნჩში. მაშინ თავბრუდასხმული ტყვიამფრქვეველი უმიზნოდ, აქეთ-იქეთ, იწყებდა სროლას, ზურგში კი მას ეცემოდა ბუმბერაზი — კომანდორი, რომელსაც მხოლოდ ისღა დარჩენოდა საზრუნავად რომ მის დათვურ ხელის მოხვევას რუმინელისათვის არ წაერთმია ლაპარაკის უნარი, და მოენე არ დაეკარგა, რაც ძლიერ სჭირდებოდა სარდლობას.

აქვე იყო ლამაზი, თვალ-ტანადი ელექტრიკოსი ნაღმოსნიდან „ფრუნზე“, ამაყ-ულვაშებიანი, რომელსაც ამ ულვაშებისა და ცხენოსანთა შარვალის სიყვარულის გამო შეარქვეს „გუსარი“. გალიფეს, ქვეითა ჯარის კაცის ხალათის და მფრინავის ქუდის ხმარება საჭიროებით იყო გამოწვეული: მეზღვაურთა ფართო შარვალი და დაბალყელიანი წაღა ვერ უდგება ჭაობებში ფორთხვას. მზვერავებიც იძულებული შეიქნენ შეეცვალათ მეზღვაურთა ფორმა, თორემ „მეზღვაურის სული“ ზოლიანი პერანგი მოუშორებლად ჰქონდათ ტანზე და ლურჯათ მოსჩანდა საყელოში, რაც უდავოდ ამტკიცებდა რომ ისინი ეკუთვნიან ფლოტს, მფრინავის ქუდზე ვარსკვლავის ქვემოთ ამაყად ბრწყინავდა ღუზა.

მეზღვაურთა დამეგობრების და ერთმანეთის გაცნობის პირველ დღეებშივე „გუსარმა“ მოულოდნელი ნიჭი გამოიჩინა.

ცხელ, მტვერიან დღეს ოდესაში ექვსი მზვერავი მოდიოდა აბანოდან. აუტანელად სწყუროდათ. მაგრამ ქალაქში ყველას სწყუროდა და ფარდულების წინ რიგები იდგა. მეზღვაურებმა უკვე სამ ფარდულს ჩაუარეს, ბევრჯერ დახედეს საათს. რიგში დადგომისათვის დრო აღარ რჩებოდათ, და უეცრად მათ ბედმა გაუღიმა: ციდან გაისმა ნაღმის დამახასიათებელი ზუზუნ-ღმუილი. ეს მოხდა ქალაქის განაპირას, სადაც ნაღმები ზოგჯერ წვდებოდენ და მათ საზიზღარ, მოწუწუნე გრძელ ხმას კარგად იცნობდნენ ოდესელები. წრე დაიშალა, ხალხი მიაწყდა შენობების ქვის კედლებს. მაგრამ ნაღმი არ გამსკდარა. მან ჩაიწუწუნა თავისი უსიამო სიმღერა და უკვალოდ დაიკარგა.

სამაგიეროდ ფარდულის განთავისუფლებულ ფანჯარასთან, საიდანაც არ დაძრულა ყველაფერს შეჩვეული გამყიდველი, უკვე იდგა „გუსარი“, სიამოვნებით სვამდა სოდის წყალს და ეპატიჟებოდა დანარჩენ მეზღვაურებს.

აღმოჩნდა რომ „გუსარს“ ხმის მიბაძვის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა. მის სქელ, ვარდისფერ ტუჩებიდან გამოდიოდა სრულიად მოულოდნელი ხმები: ჭურვის ზუზუნი, ქათმის კრიახი, ხერხის ღრჭიალი, ნაღმის ღმუილი, ბულბულის სტვენა, ყუმბარის შიშინი, ლეკვის ყეფა, თვითმფრინავის შორეული გუგუნი, და ეს ნიჭი, როგორც კი გამომჟღავნდა, მაშინვე საქმისთვის გამოიყენეს.

„გუსარი“ გამოაცხადეს მებუკედ, შეიმუშავეს მთელი კოდი და დასამტკიცებლად მეთაურს მიართვეს. ქათმის კრიახი აღნიშნავდა რომ ქოხთან შენიშნულია გუშაგი, იხვის ყიყინი—რომ გუშაგი ორია; ბუჩქებში შენიღბული ტყვიისმფრქვეველი იწვევდა მოლაღურის საბრალო სტვენას. რუმინელებზე თავდასხმის შემდეგ შესაკრებ ადგილს აჩვენებდა „გუსარი“ ბულბულის დიდხანს გალობით, რომელიც არტისტის თავდავიწყებული გატაცებით სტვენს ბუჩქებში ან კარჭაპთან.

საღამოობით სახიფათო რეიდის შემდეგ, როცა მზვერავები ქოხში ისვენებდნენ, „გუსარი“ აწყობდა კონცერტს. მეზღვაურები იწვნენ თივაზე, „გუსარი“ კი ხელებს თავს უკან შეიდებდა და სტვენდა. ასე დამხვდა ქოხში, როცა მზვერავებს ვესტუმრე.

როცა კომბოსტოს სუპს ერთად შევექცეოდით—ასეთია ჯარისკაცთა ღამის დაგვიანებული სადილი — მე შევიტყვე, რომ, „გუსარი“ ფლოტიდან სათადარიგო ჯარში გადარიცხვის შემდეგ არტისტობდა. თავისი სახელიც მითხრა, რომელიც არა ერთხელ შემინიშნავს აფიშებზე და გამახსენდა, რომ კიდეც მომესმინა მისი სტვენა მოსკოვში, ხალხური შემოქმედების სახლში. ის სტვენდა ძლიერად და სუფთად შტრაუსის ვალსებს, შოპენის პრელიუდიებს, სავიოლინო ვირტუოზულ პიესებს, და ნაზი, წმინდა მისი სტვენა, რომელსაც აკომპანიმენტად მიჰყვებოდა დახშული, განუწყვეტელი გუგუნი ჩვენი და უცხო ქვემეხებისა და აფეთქებებისა — ეს იყო ალყაშემორტყმული ოდესის მუდმივი სიმფონია—კრიალებდა და შორეულ ოცნებად წუნარ, გულდამჯდარ ცხოვრებაზე, ბრწყინვალე სინათლეზე ქუჩებსა და დარბაზებში, თეთრ ტანთსაცმელზე და სუფთა ხელებზე, დავიწყებულ, დაკარგულ სიმშვიდეზე, და ოჯახურ მყუდროებაზე. მეზღვაურები დადუმებული უსმენდნენ, და, როცა შესწყდებოდა უკანასკნელი, მინაზებული საამო, გონიერ სიჩუმეში გადასული ხმა, ბუმბერაზი—კომანდორი იმ ყრუ ღმუილით, რაც ზოგჯერ ისმის ლინკორის უზარმაზარ საკვამლე მილში, ხმადაბალი ბანით ეუბნებოდა.

— კიდევ ერთი რამ... ძალიან, ძალიან კარგად სტვენ...

მეზღვაურები იწვნენ თივაზე და ყოველი მათგანი ფიქრობდა თავისთვის: ღამის ბედნიერად დამთავრებულ წასულ თავდასხმაზე, დაჭრილ მეგობარზე, შორს მყოფი ოჯახის ბარათზე, ცხოვრებაზე, ბედზე და გამარჯვებაზე და იმაზე, რომ მოესწრებიან, უსათუოდ მოესწრებიან მშვიდ ცხოვრებას ასეთივე სიწყნარითა და მეოცნებე სიმღერით; ქოხის კედლების იქით კი ქვემეხები ისროდნენ ლითონს და აცამტვერებდნენ მათ, ვინც ეს ცხოვრება ააფორიაქა.

მეორე საღამოს დასვენებული მზვერავები ისევ წავიდნენ მტრის ზურგს უკან. მეც ფრონტის სხვა უბანზე გადაველი. ერთი კვირის შემდეგ შევხვდი ახალ მეგობრებს, და აი რა მიამბეს „გუსარის“ შესახებ.

ის დარჩა კარჭაპზე ლერწამში, მიმოსვლის ამ იარაღის სადარაჯოდ და, როგორც ყოველთვის, მებუკედ. ღამით მეზღვაურებმა საკმაოდ ითარეშეს მტრის ზურგს უკან, მოხსნეს ორი ტყვიამფრქვევი, ააფეთქეს ქოხი, სადაც შტაბი იმყოფებოდა და მეორე ღამემდე თავი შეაფარეს ქვის სამტეხლოში. მეორე ღამის ექვს საათზე ისინი უბრუნდებოდნენ დატოვებულ კარჭაპს და გზადაგზა განაგრძობდნენ თავის მამაცურ საქმეს; ფეხაკრეფით უახლოვდებოდნენ ისინი ლერწამს, სადაც ჩამალული იყო კარჭაპი. ბუმბერაზი—კომანდორი მიჰქონდა სამ ამხანაგს; იგი ბარძაყში დაეჭრა სასკდომ ტყვიას; ორი მზვერავიც ვეღარ ეპოვნათ. ლერწამში ყველა დასასვენებლად მიწვა და ღამის სიჩუმეს ყურს უგდებდა, რომ გაეგო, სად იყო კარჭაპი.

ღამით გალობდა ბულბული, სტვენდა და ჭახჭახებდა, მაგრამ რაკრაკი უძნელდებოდა და ხმა მალი-მალ წყდებოდა. ზოგჯერ ბულბული დადუმდებოდა სრულიად, შემდეგ გალობას ისევ განაგრძობდა, მაგრამ ისეთი სევდა და მოუსვენრობა ისმოდა ამ სიმღერაში, რომ მეზღვაურებმა ერთმანეთს ხელი წაჰკრეს, დაჭრილი ტან-მძიმე ამხანაგი ანიას და ორ ამხანაგს ჩააბარეს მოსავლელად და თვითონ გაიქცნენ.

„გუსარი“ იწვა კარჭაპში გულაღმა. სიბნელეში არ უჩანდა სახე, მაგრამ მკერდი დაფარული ჰქონდა წებოვანი სისხლით. მისი ავტომატი ეგდო კარჭაპის ძირში, ყველა დისკო დაცარიელებული იყო; ვისაც დაჭრილი კომანდორი მოჰყავდა, ლერწამში გადაეჩეხა მოკლულ რუმინელების გვამებს, — უეჭველი იყო, რომ მათაც მიაგნეს კარჭაპს და სწორედ აქ უნდა მომხდარიყოს უსწორო ბრძოლა.

„გუსარი“ ვეღარ სცნობდა მეგობართა ხმას; გულაღმა იწვა, ძნელად და ღრმად სუნთქავდა, შემდეგ იკრებდა ძალას და ნაზი სტვენა ამოხდებოდა ბაგედან, რომელნიც ნელ-ნელა უცივდებოდა; ვერ ხედავდა, ვერ გრძნობდა, რომ, ვისთვისაც უნდა მიეცა ხიფათისაგან თავდაღწევის ნიშანი, უკვე მის გვერდით იდგა და კვლავ განაგრძობდა სტვენას; სტვენდა ბულბულის ხმით მაშინაც კი, როცა ყველა ჩაჯდა კარჭაპში, ნელა მოუსვეს ნიჩბები და შესცურდნენ მშვიდ, ბნელ ზღვაში.

და ბულბული — ბუჩქებისა და ხეების ფრინველი — სტვენდა და გალობდა ზღვაზე. ის სტვენდა მინელებით, დასვენებით; გაჭირვებით ითქვამდა სულს. ის სტვენდა ისევ და ისევ და მალე ბულბულის გალობა მელოდიად გარდაიქმნა.

გაწეწილი, დამახინჯებული როგორც მისი სხეული, იგი დათრთოდა უკუნით ზღვაზე უკანასკნელ გოდებად; ვერვინ გაიგო, თუ რას სტვენდა იგი; შეიძლება სტვენდა მას, რაც ოდესღაც გავიგონე ამ ამაყ, ცხარე ულვაშებიდან მოსკოვის ხალხური ხელოვნების სახლის უზარმაზარ, განათებულ ესტრადაზე, სადაც მას პირველად უთხრეს, რომ მისი სტვენა დიდი ხელოვნებაა.

ნ. ლორთქიფანიძის თარგმანი.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 6444